n 55/6 PX 4542/1.5cm





დაიცავი შენი ნაკრძალი!

# სათაფლიას ნაკრძალი

## სათაფლიას ნაკრძალი

სათაფლიის ნაკრძალი შეიქმნა 1935 წელს გეოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ძეგლების დაცვის მიზნით. ნაკრძალი ზღვის დონიდან 500 მეტრზე მდებარეობს. ჰავა სუბტროპიკულია. ნალექების წლიური რაოდენობა 1900 მმ-ს აღწევს. ნაკრძალის ტერიტორიაზე გვხვდება 5 კარსტული მღვიმე, რომელთაგან ერთ-ერთში შესასვლელიდან 100 მეტრი დაშორებით გუმბათოვანი დარბაზია, რომლის ცენტრში აღმართული სტალაგმიტების და ზევიდან დაშვებული სტალაქტიდების სიდიდე და სილამაზე ნამდვილად განაცვიფრებს მნახველს. სათაფლიის მღვიმე ზღვის დონიდან 360 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ციხე-კოშკები (ხომულის, ქვილიშორის, ჩუნეშის, გვიშტიბის, მათხოჯის, გორდის, ღვედის, ნამაშევის, ცუცხვათის, დღნორისის და სხვა), ტაძრები თუ სხვა საკულტო ძეგლები, რომლებიც ერთმანეთს გადაჰყურებენ, საუცხოოდ არიან შეხამებული გარემო პირობებს და სტრატეგიულად შერჩეულ რელიეფში მოხერხებულად არიან ჩამჯდარნი. აღსანიშნავია XII საუკუნის გელათის სამონასტრო კომპლექსი ამავე პერიოდის კედლის მხატვრობით, X საუკუნის მოწამეთას ეკლესია და XI საუკუნის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, რომელიც გელათის არქიტექტურულ ძეგლთან ერთად "იუნესკოს" მიერ არის დაცული. აქაური ციხე-კოშკები ზოგჯერ უშუალოდ მღვიმე უფსკრულებზეა დაშენებული. ისინი ერთმანეთთან საიდუმლო გვირაბებით არიან დაკავშირებულნი, რომლის წყალობითაც კიდევ უფრო გაზრდილია მათი სიმტკიცე.





### სათაფლიას ნაკრძალში მოგზაურობისას აკრძალულია:

- •ნაღვენთებზე ხელით შეხება და მათი დაზიანება,
- •არსებული ეკოსისტემის განადგურება;
- •კედლებზე წარწერების გაკეთება;
- •პალეონტოლოგიური ნიმუშების შეგროვება;
- •შესვლა ცხოველებთან ერთად;
- •შესვლა არაფხიზელ მდგომარეობაში;
- •მოწევა;
- •საკვების ან სასმელის შეტანა;
- •მღვიმის დაბინძურება;
- •ფოტო და ვიდეო გადაღება;
- •გასანათებელი საშუალებების ინდივიდუალურად გამოყენება;
- •ჯგუფისაგან გამოყოფა და მარტო გადაადგილება.

## სათაფლიას ნაკრძალის ფლორა და ფაუნა

სათაფლიის ნაკრძალი ნოტიო სუბტროპიკულ სარტყელში მდებარეობს. ნაკრძალის ტერიტორიის 98% ახალგაზრდა კოლხური ტიპის ტყითაა დაფარული. ტყეში დომინირებს წიფლნარი ტყე ბზის ქვეტყით და რცხილნარი ჯაგრცხილის ქვეტყით. წიწვოვანებიდან აქ ბუნებრივად გვხვდება უთხოვარი *(Taxus baccata)*.

ნაკრძალის ტერიტორიაზე 67 სახეობის მერქნიანი მცენარეა აღწერილი, რომელთაგან 30 ხე და 37 ბუჩქია, მათგან 59 სახეობა ფოთოლმცვენია, 8 მარადმწვანე. მერქნიან მცენარეთა თითქმის ნახევარი რელიქტურია. მესამეული პერიოდის რელიქტებიდან გვხვდება: წაბლი *(Castanea sativa)*, იმერეთის ხეშავი *(Rhamnus imeretina)*, ჩვეულებრივი მურყანი *(Alnus barbata)*, კოლხური ჯონჯოლი *(Staphylea pinnata)*, ბზა *(Buxus colchica)* და სხვა.

კოლხური ტყის ელემენტებიდან გავრცელებულია ჰართვისის მუხა, იმერული ხეშავი, შქერი, თაგვისარა, ძმერხლი, კოლხური ჯონჯოლი და სხვა.



აღსანიშნავია, რომ ნაკრძალში გავრცელებულია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი 9 მერქნიანი მცენარე, ასევე, 3 კავკასიისა და 1 საქართველოს ენდემი.



სათაფლიას ნაკრძალში ძუძუმწოვრების 12, რეპტილიების-5, ამფიბიების-4 და ფრინველების 30 სახეობა ბინადრობს. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აქ ტურა *(Canis aureus)*, მაჩვი *(Meles meles)*, ტყის კვერნა *(Martes meles)*, კავკასიური ციყვი *(Sciurus vulgaris)*, კურდღელი *(Lepus europeus)* და მელა *(Vulpes vulpes)* გვხვდება, იშვიათად კი მგელი *(Canis lupus)* და შველი *(Capreolus capreolus)*.

კოლხური ტყის ლამაზ პეიზაჟს სხვადასხვა ფერის ფრინველები ავსებენ. ნაკრძალი მერცხლების, კავკასიური სკვინჩების, ჭედია ყარანების, შაშვებისა და ჩხიკვების სამფლობელოა. მას ხშირად ოფოფი, მწყერი და ტყის ქათამი სტუმრობს.

სათაფლიის მღვმეში ზამთარ–ზაფხულ მუდმივი ტემპერატურაა +14C°. საინტერესო მიკროკლიმატის გამო გამოქვაბულში ბინადრობენ სიბნელეს შეგუებული ორგანიზმები: მტკნარი წყლის მოლუსკები, ბრმა კიბოები, ობობები და ჭიები. მღვიმეების ყველაზე საინტერესო და იდუმალი ბინადარნი კი ღამურები არიან.

### სათაფლიას ნაკრძალში შესაძლებელია შემდეგი სახის ტურების ორგანიზება

- ✔ ფოტო ტურები
- ✔ სპელეოტური
- ✔ პელეონტოლოგიური ტური
- ✔ ეკოლოგიურ-საგანამანათლებლო ტური - კოლხური ტყის ბილიკი
- ✔ შუშის გადასახედზე გასვლა
- ✔ იურული პერიოდის პარკის მონახულება

## ეკოტურიზმი

სათაფლიის მღვიმე ძალიან საინტერესო ტურისტულ ობიექტს წარმოადგენს. მღვიმის ჯამური სიგრძე 900 მეტრია. ბილიკის სიგრძე კი 310 მ. მღვიმეში შესვლისას თქვენს თვალწინ გასაოცარი სამყარო გადაიშლება. ნაღვენთი ფორმების მოვარდისფრო-მეწამული შეფერილობა მათში რკინის შემცველობის დასტურია. დერეფნების მონოტონურობას არღვევს ცალკეული გაფართოებული დარბაზები, რომელთა წარმოქმნა კირქვების ნგრევის შედეგია. აქ თქვენს ყურადღებას მიიპყრობენ სტალაქტიდები, სტალაგმიტები და "ფარდები", თაღოვანი ჭერი, მღვიმეში ყველაზე დიდი—გუმბათოვანი დარბაზი, რომლის ცენტრში გრანდიოზული სტალაგნატია. ვიწრო დერეფანი მიუყვება მეორე დარბაზისკენ. მღვიმური ნაკადი 5 მეტრის სიღრმის ჭაში ჩაედინება.





### გაითვალისწინეთ:

•მღვიმეში ვიზიტორთა გადაადგილება სასურველია დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გიდების თანხლებით.

•მღვიმეში გადაადგილებისას რეკომენდირებულია სპორტული სამოსი და მოხერხებული ფეხსაცმელი.








## საქართველოს დაცული ტერიტორიები

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა, გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა.

შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციებს ემყარება.

ამ კანონის მიხედვით საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

| დაცული ტერიტორია | მიზანი | კატეგორია (IUCN) |
|---|---|---|
| სახელმწიფო ნაკრძალი | მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით | I |
| ეროვნული პარკი | ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება | II |
| ბუნების ძეგლი | ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა) | III |
| აღკვეთილი | ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით | IV |
| დაცული ლანდშაფტი | ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება | V |
| მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია | ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება | VI |







დაცული ტერიტორიების სააგენტო
გარემოს დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, გულუას ქ. 6, V სართული
კონტაქტი: *8888, 75 38 87, 877 90 72 72; ელ-ფოსტა: info@apa.gov.ge
ვებ-გვერდი: www.apa.gov.ge
Agency of Protected Areas

იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
ქ. წყალტუბო, სოფ. განოჯა
კონტაქტი: 577 10 14 17; 577 10 14 42;
ელ. ფოსტა: ugulava@apa.gov.ge

# სათაფლიას ნაკრძალი










## პირობითი აღნიშვნები

- სათაფლიას ნაკრძალის საზღვარი
- გზა
- ბილიკი
- კოლხური ტყის ბილიკი
- ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი
- ნაკრძალის შესასვლელი
- მღვიმეში შესასვლელი
- მღვიმის გამოსასვლელი
- დინოზავრის ნაკვალევი
- იურული პერიოდის პარკი
- დინოზავრის ანაბეჭდის დამზადება
- პეტრე ჭაბუკიანის მემორიალი
- საბავშვო მოედანი
- საგანმანათლებლო მოედანი
- სალარო, საინფორმაციო ცენტრი
- გადასახედი მოედანი
- კაფეტერია
- სპელეოლოგიური მუზეუმი
- პარკინგის ადგილი
- სველი წერტილი
- გადმოსახედი
- ფუტკრის სკები





